



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

17 აპრილი 2025



N 200/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### ქ. რუსთავში (წერეთლის ქუჩა №41ა), შპს „vivacement“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „vivacement“-ის (ს/კ: 416306045) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 12 სექტემბერს (წერილი N9143) წარმოდგენილი იქნა ქ. რუსთავში (წერეთლის ქუჩა №41ა), ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (522/ს; 17/09/2024), შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზმ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „ჯითიეს კონსულტიმის“ მიერ.

ქ. რუსთავში, შპს „რუსთავი V.G“-ის ცემენტის წარმოებაზე 2010 წლის 18 ივნისის №ი-287 ბრძანებით გაცემულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (2010 წლის №38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა), რომელიც 2014 წელს, კომპანიების ერთობლივი მიმართვის საფუძველზე გადაეცა შპს „vivacement“-ს. მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის №2-1268 ბრძანებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ქ. რუსთავში, შპს „vivacement“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, 2023 წლის 13 ოქტომბერს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (N548/ს), რომლის საფუძველზე საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2024 წლის 1 თებერვალს სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „vivacement“-ის მიერ, წარმოდგენილი იყო ქ. რუსთავში (წერეთლის ქუჩა №41ა), ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N8; ბრძანება N64/ს; 01/02/2024).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N 21/11995, N21/1709) შპს „vivacement“-ის მიერ 2025 წლის 24 იანვარს და 24 მარტს წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია (წერილი N546; 2841), რომელიც ეხებოდა ფონური მნიშვნელობის სახით კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მიზნით შპს „რუსთავის

ფოლადის“ მეტალურგიული საწარმოს გათვალისწინების და „vivacement“-ის საწარმოს საწარმოო ზონაში (იზ 1) მდებარეობის საკითხებს. ასევე წარმოდგენილ იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების კორექტირებული პროექტი. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საქსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N48/ს 04/02/2025; ბრძანება N171/ს 02/04/2025), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „vivacement“-ის საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავში, წერეთლის ქუჩა №41ა-ში, იჯარით აღებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 02.05.07.716; ს/კ: 02.05.07.737), რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 5992 მ<sup>2</sup>-ს. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით (წერილი N38-3824263186), ცემენტის საწარმოს ტერიტორია „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების შესაბამისად მდებარეობს საწარმოო ზონაში (იზ-1). გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ცემენტის საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის საკადასტრო საზღვრამდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 12 მეტრს, ხოლო უშუალოდ ცემენტის წარმოებისათვის განკუთვნილი ბურთულეებიანი წისქვილიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია დაახლოებით 80 მეტრით. საწარმოდან 85 მეტრში მდებარეობს შპს „მტკვარი ენერჯის“ მიწისზედა მაგისტრალური არხი (ე.წ მარინის არხი). საწარმოს მიმდებარედ წარმოდგენილია სხვადასხვა დანიშნულების სამრეწველო ობიექტები, მათ შორის: შპს „გეო ინვესტის“; „კოწიწაშვილი და კომპანია“; შპს „გიორგი ბლიაძის“; შპს „4-ჯ“-ის და შპს „ა და გ“-ს საკუთრებაში არსებული საწარმოო და სასაწყობე ობიექტები. ამასთან, შპს „vivacement“-ის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 100 მეტრში მდებარეობს შპს „რუსთავის ფოლადის“ მეტალურგიული საწარმო.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საქმიანობის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია დაგეგმილი საქმიანობის არაქმედების და საქმიანობის განხორციელების ადგილის ალტერნატივები. ვინაიდან, საწარმოს ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა, ხოლო ახალი, აუთვისებელი ტერიტორიის შერჩევა მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან იქნებოდა დაკავშირებული, ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტის განხილვა მიზანშეწონილად არ ჩაითვალა, ხოლო მოსალოდნელი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით, უარყოფილ იქნა არაქმედების ალტერნატივა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში განთავსებულია 3 ტ/სთ წარმადობის ბურთულეებიანი წისქვილი (1456AY3), სადაც წარმოებს კლინკერისა და დანამატების დაფქვით სხვადასხვა მარკის მქონე (M-300; M-400) ცემენტის წარმოება. საწარმოში ასევე განთავსებულია სილოსები, საოფისე და დამხმარე შენობა-ნაგებობები. ობიექტი აღჭურვილია ციკლონით და სახელოებიანი ფილტრებით. არსებული მდგომარეობით, ცემენტის საწარმოს წლიური წარმადობა შეადგენს - 7 200 ტონას, 300 სამუშაო დღისა და 8 საათიანი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით. საწარმოში დასაქმებულია 15 ადამიანი და 7200 ტ პროდუქციის წარმოებისთვის გამოიყენება 5 760 ტ კლინკერი, 360 ტ თაბაშირი და 1 100 ტ დანამატი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ობიექტის ტერიტორიაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით განსაზღვრულ 3 ერთეულ სილოსთან (თითოეული 65 ტონა) ერთად, დამატებით მოეწყო 7 ერთეული სილოსი (2 ერთეული – 30 ტონიანი, 2 ერთეული – 120 ტონიანი, 3 ერთეული – 65 ტონიანი სილოსები), აირმტვერდამჭერ სისტემაში 24 სახელოებიანი ფილტრის ნაცვლად, დამონტაჟდა 48 სახელოებიანი ფილტრი, მოეწყო უწყვეტი მონიტორინგის სისტემა (PFM 20) და განთავსდა 3 ტ/სთ წარმადობის მქონე სარეზერვო ბურთულეებიანი

წისქვილი, რომელიც იმუშავებს არსებული წისქვილის მწყობრიდან გამოსვლის ან გეგმიური სარემონტო სამუშაოების შემთხვევაში. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია კიდევ 3 ერთეული (თითოეულის მოცულობა 60 ტ) სილოსის მოწყობა სარეზერვო წისქვილის მიმდებარედ, რის შედეგადაც საწარმოში განთავსებული სილოსების ჯამური მოცულობა გაუტოლდება 870 მ<sup>3</sup>-ს. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დაგეგმილი არ არის ცემენტის საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის, სამუშაო რეჟიმისა და წარმადობის ცვლილება.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, 2024 წლის 16 იანვარს, განხორციელდა, შპს „vivacement“-ის კუთვნილი საწარმოს ინსპექტირება და დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე ნაცვლად გზმ ანგარიშით გათვალისწინებული ცემენტის საფქვაკი ერთი წისქვილისა, განთავსებულია 2 ერთეული საფქვაკი წისქვილი, ხოლო მზა პროდუქციის შესანახი სამი ერთეული სილოსისა, განთავსებულია ცხრა ერთეული სილოსი. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2024 წლის 12 თებერვალს, შპს „vivacement“-ის მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №081905 ოქმი. ამასთან, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, 2024 წლის 22 ნოემბერს, 19 დეკემბერს და 2025 წლის 13 იანვარს, განხორციელდა შპს „vivacement“-ის კუთვნილი ცემენტის საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერება და დადგინდა, რომ ობიექტზე არ მიმდინარეობდა საწარმოო პროცესი, ადგილზე არ იმყოფებოდა მომსახურე პერსონალი და ობიექტის წარმომადგენელი.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ნედლეულის შემოტანა ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, მუნიციპალიტეტში არსებული საწარმოებიდან. შეტანილი ნედლეული საწყობდება ნედლეულის საცავში, რომელიც წარმოადგენს სამი მხრიდან ბეტონის კედლით შემოსაზღვრულ, გადახურული ფარდულის ტიპის ნაგებობას. ნედლეულის საწყობს ესაზღვრება მიმდები ბუნკერი, რომელიც წარმოადგენს ლითონის კონუსურ კონსტრუქციას და დამონტაჟებულია ბეტონის კედლებზე. მიმდები ბუნკერის კონუსის წვერთან მოწყობილია ლენტური ტრანსპორტიორი. მიმდები ბუნკერი, ლენტური ტრანსპორტიორი და ბურთულეებიანი წისქვილი, განთავსებულია ასევე გადახურული ფარდულის ტიპის კონსტრუქციაში.

ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით, ავტომტვირთავების საშუალებით კლინკერის საწყობში, დადგენილი რეცეპტის შესაბამისად ხდება კაზმის არევა-მომზადება, რის შემდეგ ნარევი გადაიტვირთება მიმდებ ბუნკერში, საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორით გადადის ბურთულეებიან წისქვილში დაფქვისათვის. ბურთულეებიანი წისქვილიდან მიღებული მზა პროდუქცია ცემენტის პნევმო-ტრანსპორტიორის საშუალებით გადადის სილოსებში, საიდანაც ცემენტშიდიით მიეწოდება მომხმარებელს ან თავსდება ტომრებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში ნედლეულის შემოტანა და პროდუქციის გატანა წარმოებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შემოვლითი გზების საშუალებით (ს4 - თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი); ს5- თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი); ს6 - ფონიჭალა-მარნეული-გუგუთი (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი); ს9 - თბილისის შემოსავლელი). საწარმოში ნედლეული შემოტანა ხორციელდება კვირაში სამჯერ, ხოლო პროდუქციის გატანა შესაძლებელია განხორციელდეს ყოველდღიურად. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული იქნება ქ. რუსთავის სამრეწველო ზონაში არსებული და ასევე, ქ. რუსთავის შემოვლითი გზები, რომლებიც მოასფალტებულია და კარგ მდგომარეობაშია, ამასთან ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი სრულად იქნება დამოკიდებული მზა პროდუქციაზე არსებულ მოთხოვნაზე, თუმცა, საწარმოს სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით (8 სთ), ნედლეულის შემოტანა, ისევე, როგორც პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია

ძირითადად განხორციელდება დღის საათებში. გარდა ამისა, დასახლებულ პუნქტ(ებ)ში შეიზღუდება დღის საათებში გადაადგილება, გაკონტროლდება ავტოტრანსპორტის სიჩქარე და ამტვერებადი ნედლეულის გადატანა განხორციელდება გადახურული ძარის მქონე ავტომობილებით.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოო ობიექტზე წყლის გამოყენება ხდება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო (205.5 მ<sup>3</sup>/წელ) მიზნებისთვის და ცემენტის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი წყლის გამოყენებას არ ითვალისწინებს. ობიექტი სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მარაგდება ქ. რუსთავის წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების (182.255 მ<sup>3</sup>/წელ) ჩაშვება ხდება ქ. რუსთავის საკანალიზაციო ქსელში. საწარმოში წარმოიქმნება სანიაღვრე წყლები (2288,944 მ<sup>3</sup>/წელ). როგორც აღინიშნა, ნედლეული (კლინკერი, თაბაშირი და დანამატი) განთავსებულია დახურულ საცავში, ხოლო წარმოებული პროდუქცია (ცემენტი) ჰერმეტიკულად დახურულ სილოსებში. ანგარიშის თანახმად, საწარმოს პერიმეტრი მოშანდაკებულია გრუნტით და მის ტერიტორიაზე მოსული ნალექები შეკრების გარეშე ჩაედინება გრუნტში, ამასთან, ცემენტის საწარმოს ფუნქციონირებისას ადგილი არ აქვს ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვებას.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება, როგორც არასახიფათო (შერეული მუნიციპალური ნარჩენები, პლასტმასი, ქალაღის და მუყაოს შესაფუთი მასალა და ა.შ), ისე სახიფათო ნარჩენები. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში დანერგილია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემა. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენები გატანილი იქნება ადგილობრივ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენების გატანას ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანია.

გზმ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში შეფასებულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე. საწარმოში იდენტიფიცირებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 28 სტაციონარული წყარო, ხოლო, გაანგარიშების დანართებში და ასევე გამოყენებულ ავტომატიზირებულ კომპიუტერულ პროგრამა ეკოლოგი-ში წარმოდგენილია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 5 წყარო (გ-101, გ-105, გ-106, გ-203, გ-205,) რომლებიც წარმოადგენენ სარეზერვო დანადგარებს. დოკუმენტაციაში ასევე ასახულია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: რკინის ოქსიდი, მანგანუმი და მისი ნაერთები, აზოტის დიოქსიდი, ჭვარტლი, გოგირდწყალბადი, ნახშირბადის ოქსიდი, ნაჯერი ნახშირწყალბადები C<sub>12</sub>-C<sub>19</sub>, არაორგანული მტვერი 70-20% SiO<sub>2</sub> შემცველობით და არაორგანული მტვერი SiO<sub>2</sub><20 % შემცველობით. გაბნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სრული სამუშაო დატვირთვის პირობების გათვალისწინებით, სადაც ფონური მნიშვნელობის სახით გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი რეკომენდაციები, ასევე უნდა აღინიშნოს რომ საწარმოს ფუნქციონირებისას ასევე გათვალისწინებულია სარეზერვო მოწყობილობების ფუნქციონირების პროცესიც, რაც ტექნოლოგიურად ჩათვლილია როგორც სარეზერვო წყაროები, თუმცა როგორც უარესი სცენარის პირობების გათვალისწინებით. დამატებით, კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მიზნით, გაბნევის ანგარიშში ფონურ მაჩვენებლებად გათვალისწინებულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მაჩვენებლები შპს „რუსთავის ფოლადის“ მილსაგლინავ საამქროში განთავსებული გაფრქვევის წყაროებიდან (გ42 - გ-47 და გ-60). არსებული მდგომარეობის და პირობების გათვალისწინების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ობიექტის განთავსების ტერიტორიიდან ატმოსფერული ჰაერის ხარისხი უახლოესი დასახლებული ობიექტის საზღვარზე (პირდაპირი დაშორების მანძილი 12 მ) არ გადააჭარბებს კანონმდებლობით

გათვალისწინებულ ნორმებს (მაქსიმალური კონცენტრაცია არაორგანული მტვერი 70-20% SiO<sub>2</sub>, ზდკ-ს წილი შეადგენს 0,96 მგ/მ<sup>3</sup>), თუმცა მაღალი მაჩვენებელია და კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობასთან ახლოს ფიქსირდება. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში განთავსებული ყველა სილოსი აღჭურვილია თანამედროვე ტიპის, MCFILTER-ის ფირმის მტვერდამჭერი ფილტრებით და ჯამურად, ცემენტის ქარხანა აღჭურვილია 48 ერთეული სახელოებიანი ფილტრით, რომლის ეფექტურობაა 99,9 %. ფილტრების ქვეშ მოწყობილია სპეციალური ბუნკერები, სადაც ხდება ქსოვილზე შეკავებული მტერის ჩამოცლა და ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნება. აირგამწმენდი სისტემა ჰერმეტიკულია და ფილტრში გავლილი გაწმენდილი ჰაერის გაფრქვევა წარმოებს მხოლოდ გაფრქვევის მილიდან. როგორც აღინიშნა, საწარმოში ასევე მოწყობილია უწყვეტი მონიტორინგის სისტემა (PFM 20). გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ: საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მტვერდამჭერი სისტემის ტექნიკური გამართულობის კონტროლი; ინსტრუმენტული მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგების მიხედვით სახელოიანი ფილტრების დროული გამოცვლა; მშრალ და ქარიან ამინდებში საწარმოს ტერიტორიის დანამკა და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროებია ბურთულებიანი წისქვილი და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. გაანგარიშების შედეგად, საწარმოს ტერიტორიაზე მოქმედი ხმაურის წყაროების ერთდროული მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის მაქსიმალური დონე შეადგენს 90,1 დბა-ს, ხოლო ხმაურის წარმომქმნელი წყაროდან (ბურთულებიანი წისქვილი) უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (80 მ) მოსალოდნელი ხმაურის დონე 47 დბა-ს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ხმაურის დონეების შემცირების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, კერძოდ: სისტემატიურად მოხდება ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობის, ასევე ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის ოპერაციებში ჩართული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი, ხმაურის დონეების გადაჭარბების შემთხვევაში წისქვილის განთავსების უბანზე განთავსდება დამატებითი შემოზღუდვა და გადახურვა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, რის გამოც ჩამოყალიბებულია ტიპური ტექნოგენური ლანდშაფტი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში რაიმე სახის საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების ნიშნები არ ფიქსირდება და თანამედროვე გეოდინამიკური პროცესებიდან, ძირითადად გავრცელებულია გამოფიტვა და ეროზია.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, კლიმატი, გეომორფოლოგიური და მეტეოროლოგიური პირობები, ბიოლოგიური გარემო, ნიადაგები, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და სეისმური პირობები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიხედვით, გამოყოფილია J განაშენიანებული, სამრეწველო ან სხვა ხელოვნური ჰაბიტატები. საწარმოს ტერიტორია მთლიანად შემოღობილია და მაღალი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, ველური ფაუნის წარმომადგენლების და ფრინველთა დაცული სახეობების მოხვედრა მოსალოდნელი არ არის. ამასთან, საწარმოს ტერიტორიაზე მხოლოდ ხელოვნურად გაშენებული ერთეული ხე-მცენარეებია წარმოდგენილი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორია არ ექვევება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში და არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამი და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 31 ოქტომბერს, ქ. რუსთავის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, გზმ-ის ანგარიშის მომამზადებელი საკონსულტაციო კომპანია შპს „ჯითიეს კონსულთიმის“, შპს „vivacement“-ის და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ასევე სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები და მოსაზრებები ეხებოდა ატმოსფერულ ჰაერზე და ხმაურზე ზემოქმედებას, საწარმოს სამუშაო რეჟიმს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გამოვლენილ დარღვევებსა და საწარმოში თვითმონიტორინგის სისტემის მუშაობის საკითხებს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილ იქნა სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. წერილობითი შენიშვნები ძირითადად ეხებოდა ალტერნატიულ ვარიანტებს, საწარმოში დაგეგმილ და განხორციელებულ სამუშაოებს, სახიფათო ნარჩენების მართვის, საწარმოს სამრეწველო ზონაში მდებარეობისა და სამუშაო რეჟიმის საკითხებს, ასევე საწარმოში თვითმონიტორინგის სისტემის დანერგვასა და ფუნქციონირებას. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა შპს „vivacement“-ის მიერ სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციაში (წერილი N546). წარმოდგენილ შენიშვნებთან/მოსაზრებებთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტებები თან ახლავს გადაწყვეტილებას ცხრილის სახით.

გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის ნარჩენების მართვის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმები, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი, დასკვნები და რეკომენდაციები. ამასთან, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სატრანსპორტო გეგმისა და საქმიანობის შეთანხმების შესახებ გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 29 ივლისის №01-3824211295 წერილი, რომლის თანახმად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია არ არის წინააღმდეგი შესრულდეს გეგმით გათვალისწინებული სატრანსპორტო ღონისძიება და გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

**აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. რუსთავში (წერეთლის ქუჩა №41ა), შპს „vivacement“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;

2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „vivacement“-მა საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/თანდართული და დამატებითი დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „vivacement“-მა უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „vivacement“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც:
  - გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, ასევე ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის საზღვარზე (12 მ);
  - მონიტორინგის გეგმაში ასახული უნდა იქნეს ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები, ასევე შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია. მონიტორინგის გეგმაში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ატმოსფერული ჰაერის ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება მავნე ნივთიერება მტვერზე (TSP) კვარტალში ერთხელ, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში (ტექნოლოგიური პროცესის მკაცრი კონტროლის მიხედვით, სადაც ყველა წყაროს შესაძლო ფუნქციონირება იქნება დადგენილი) და ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგების სააგენტოში წარმოდგენა წელიწადში ერთხელ (მონიტორინგის ამსახველ ფოტო/ვიდეო მასალასთან ერთად). მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.
6. შპს „vivacement“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც წინასწარ შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად, ასევე გათვალისწინებული იქნება მონიტორინგის შედეგების მიხედვით საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებები (მათ შორის, წარმადობის შემცირება, სამუშაო საათების ხანგრძლივობის შემცირება და ა.შ.);
7. შპს „vivacement“-მა საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ნედლეულისა და პროდუქციის მარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირება, ასევე ღამის საათებში პროდუქციის წარმოების და ტრანსპორტირების აკრძალვა;
8. შპს „vivacement“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის განახლებული გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განხორციელდეს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან

გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

9. შპს „vivacement“-მა ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების მუდმივი ტექნიკური კონტროლი;
10. შპს „vivacement“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებიდან ერთი წლის ვადაში შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე/პერიმეტრზე (მათ შორის უახლოესი მოსახლის მიმართულებით) გამწვანების ზოლის მოწყობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მისი მოვლა-პატრონობა, ასევე საწარმოს ტერიტორიის მოპირკეთება;
11. შპს „vivacement“-ი ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
12. შპს „vivacement“-მა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
13. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „vivacement“-ს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
14. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „vivacement“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
15. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/200-21-4-202504171249>

